ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 65. კვირა, 22 მარტი 1909 წ. დამატების № 12.

36.

ტკვარი მარჯვნივ დაქანებულიყო, ბურ-
ერეს გაშლილი მიდიოდა, ფართოდ. ბურ-
ეფდა მდინარე და ღრმა იყო, აქათ მდო-
წყნარად. საზოგადოდ კი ეხლა დაშვებუ-
ა დაწყნარებული.
მ ადგილას გამოჩნდა მეთევზეების ნავი.
ა აუჩქარებლივ, მეორე იჯდა ნავის თავს,
თან მღეროდა მაღალის ხმით. მეთევზე
ოფილიყო სიმღერაში და საუცხოვოდ
ხმას. სასახლიდანაც მიაქციეს მას ყუ-
ეთევზე კი არავის არ აქცევდა ყურადღე-
ა მღეროდა. ბედი სწყალობდათ, ბადეს
ეპუეტი ნავის ძირზე ელვარებდა. მეთევ-
ანის საკანშიაც შეიკრიალა და გამოარ-
ზურდოვებული პატიმარი.
ლებოდა ყაფლანს, კაცის სახე დასანახა-
ადამიანის ხმა უსიამოვნოდ აღელვებდა,
ელი შხრიალი აწამებდა, ტვინს ურყევდა,
სიმღერამ კი მისი ყურადღება სიამოვ-
რალაც ნაცნობი ჰანგები მოაგონა, ნაც-
ყურში. ყაფლანი გულმოდგინედ უგდებ-
ლს და თანდათან სახე უბრწყინდებოდა,
ცეცხლი ულვივდებოდა.
—წარმოსთქვა პატიმარმა,—სულ ფარნაო-
ეს ხმა და მის სიმღერის კილოს... სადა
ზ, ცოცხალი ხარ სადმე ჩემსავით უნუ-
იქნება შენც ჩემსავით საპყრობილეში

გონებამ გული მოულბო პატიმარს და
თვალებზე ნამი მოჰგვარა, მეთევზე ისევ
. წამოდგა ყაფლანი, მივიდა ფანჯარას-
ხელი და მოახერხა გახედვა.
ოფილან, ბადეს ესვრიან. ბედნიერები!
უფალ ჰაერში, თავისუფალ წყალზე....
მისი სიმღერა ფარნაოზის სიმღერის

ნიშნავი არ დარჩა პატიმარის გახედვა,
ს და ფარნამ ვერა გააჩერა



კარლ მილლერი თავის ცოლითა და

კარლ მილლერი ავსტრიის ჯაშუშების უფროსა
სერბიის მთავრობამ 15 თებერვალს დააპატიმრა.
ტიმრა რამდენიმე წარჩინებული ს

„ფარნაოზი, ფარნაოზი! ყოჩაღ,
მოუხერხებია. ვინ უგრძნობს! აქ ხომ ხ
ნავებით. მაგრამ რა ჰსურს, რა განუზრახა
ხომ არ შეიძლება აქადან, არას გზით
ვერ გაარღვევს სალ-კლდეს, რა ერთგულ
ბა! რომ უგრძნონ, ჩანთქამენ. კარგი ყო
ნა, თავდადებული. ტასიკოს გულს უფრ
მე ვერ გაფასებდი ღირსეულად.
ყაფლანი მიჰხვდა, რომ მოხერხებულ
ბინა როგორმე ფარნაოზისთვის ის საი
შეიტყო მან ევდემოზისაგან ტასიკოს შე
ნაოზს შეჰფეროდა მიეღო მისგან ეს საი
ბოდა ქალის კვალს და დაისხნიდა განს
მიჰხვდებოდა ვაჟი თავის გულის წადილ
ვაჟკაცი ღირსეულის სასყიდლისა. ხვ
ფარნაოზი მის საპყრობილის წინ, მაგრ
ბინოს, როგორ მიაწვდინოს ხმა? ახლო
როგორც დღესაც იყო ახლო, სულ რა
ნება მისგან, მაგრამ მაინც მიუწდომელი
ნუვალი ზღუდეა მათ შორის ამართული.
ყაფლანმა დაკვირვებით მოავლო თ
ბილეს, მაგრამ საკანში ნესტისაგან გაჟ
მეტი არა იყორა. სასოწარკვეთილებაშ
მედობას მიეცა. მიეგდო თივაზე, რომე
ყარნათ. ფიცარი რომ დარახუნდა, აზრ
გაილიმა პყრობილი. გასინჯა ფიცრები,
რი რამ და დააჭდია ზედ; „ერწო, გვირ
დაიხსენ!“
გამოჩნდა მესამედ იგივე ნავი. ე
რის ხმას აღარ ელოდდა. დილიდანვე ფ
რებია. მეთევზემ ორჯელ-სამჯერ კი ესრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიფათო სიყვარული

ისტორიული მოთხრობა

(შემდეგი *)

35

ფარნაოზი შიშით მოელოდდა შეთქმულთა განსამართლებას. ყაფლანიც მოღალატედ დაესახათ და არავინ იცოდა, იმას რაღა მოელოდდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ პატიმრებს თავებს დაჰკვეთდნენ. ფარნამ იცოდა, რომ უბრალო იყო ყაფლანი, მაგრამ მაინც იმედი არა ჰქონდა იმის გადარჩენისა და ეს მით უფრო, რომ ეგონა, როსტომი შურს იძიებდა და სავსებით გადუხდიდა ყაფლანს, ჯავრს ამოიყრიდა. მეტადრე იმას ნაღვლობდა ფარნაოზი, რომ შველა შეუძლებელი შეიქმნა.

როცა გამოირკვა შეთქმულების ბედი და ყაფლანი გადარჩა სიკვდილს, ფარნაოზს უფრო მეტის სიმწვავით დაუბრუნდა თვისი სევდა და ეს სევდა [illegible] საძებარი კვალ-და[illegible] დის ხომ მიაკვლი[illegible] მა კი აღარავითარ[illegible] თი აღარავინ შეხვდ[illegible] სკოდნოდა დაკარ[illegible]

სუსტი და რა[illegible] ლის იმედისა და [illegible] თხვევაზე იყო და[illegible] ქათალიკოზი სიკვ[illegible]

„უნდა გავიგო[illegible] —უთუოდ უნდა [illegible] დო ქათალიკოზმ[illegible] არ შეეხება ჩემი სა[illegible] მა როსტომს, მხო[illegible] მის სახლობა ეხება[illegible] ტანოთ იმის სიტყვა[illegible] ძი იყო ეს მისი. რ[illegible]

და ყოფილიყო ყაჯონებასთან საზდვარ-გარედ საქონლის უფშორის? ყმა მამულმაც გამოუგონიათ. კოსრის მაგივრად საზ-ჰქონიათ იმათ და[illegible]ს ურემს შუბლით აწევინებენ. ზემოადნიშ-საქმე იყო ისეთი, [illegible] ჭეოფს იქაურ შესაბმელ იარაღს და მორ-დებულმაც კი არ [illegible]ისეთი შებმა, როგორც იწერება გერმანიაში ყაფლანს შეეხებოდა[illegible] იქნება ისეთი რამე [illegible] დაიხსნიდა არსიანელ[illegible] დემოზმა, რომ ყაფ[illegible] დასაჯა სიკვდილით[illegible] დაკარგვას შეეხებო[illegible] ნისათვის ხომ ეს ამბა[illegible] სი! ან, იქნება ტასიკ[illegible] ლმა.... უნდა ვნახო[illegible] ოთ უნდა ვნახო!..

როგორ უნდა[illegible] ვილი? თითონ ყმა[illegible] ლებოდა ისიც და[illegible] ყაფლანისა და თან[illegible] ფილიყო, მაინც ვინ [illegible] ციხეში რომ ყოფილიყო დაპატიმრებული, მეციხოვნის შესყიდვის იმედი მაინც ექნებოდა; სასახლეში კი აბა ვინ შეუშვებდა მას! ზურაბი მთლად უძლური იყო ამ საქმეში, რადგან თითქმის განრისხული იყო: იმასაც ეჭვი დაჰკრეს ყაფლანის გამო. მაშ რა უნდა ექმნა ფარნაოზს? ერთად-ერთი საშუალება ღა დარჩენოდა: როგორმე უნდა შეჰპარვიყო მცველებს ტყვესთან.

რაკი ეს განძრახვა ჩაიდო გულში, შეცვლილ ტანისამოსით დაიწყო სასახლის გარემოსიარული,—ათვალიერებდა. გამოღმიდან შეუვალი ამოჩნდა სასახლე. ახლა გაღმიდან დაუწყო შენობას თვალიერება, რიყის მხრიდან. აქედან მთლიანად მოსჩანდა სამეფო სასახლეც და წალკოტიც. ერთხელ თვალიერების დროს ფარნაოზმა შეამჩნია როსტომი თალარ ქვეშ და ჩაიცინა გესლიანად:

„ვერა ყოფილხარ, ხოსრო მირზავ, ისეთი ფრთხილი, როგორც გაქებდნენ! მტკვრის მხრიდან ღიაა შენი სასახლეც [illegible]



ბაშიანი ქალი ტატიანა გრიგორიევნა,

[illegible]ის მცხოვრები, 29 წლისა. წვერი ამოუვიდა გათ-[illegible] შემდეგ, როდესაც 20 წლისა შესრულდა.

[illegible]ირს; ცრემლად ჩააწვეთე დარდი შენი მდი-[illegible]ტანს აქ, მიამბობს“.

[illegible]ზის სხივს შეჰქონდა მასთან ტასიკოს ამბავი, [illegible], არც მტკვარი მოუთხრობდა რასმე ტასი-[illegible]ნი მიჯაჭული, უიმედო, სევდიანი, საპყარი. [illegible] დაჰქროლა არსიანელის ბედნიერ ოჯახს, [illegible]ნტა იგი; სევდის ისრით გაუგმირა გული [illegible] ოჯახისას.

[illegible] მოიწმინდება მათთვის ცა ლაჟვარდი, კი-[illegible] ბრწყინვილე მზე სიხარულისა, თუ მოისპო [illegible]ა უნდა აღიგაონ პირისაგან ქვეყანისა?

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

[illegible]ი ხარების ურემში შესაბმელად

[illegible] ბავშვების სკოლაში წაყვანა [illegible]

[illegible] საფრანგეთში მშობლები მოვალენი არ[illegible] შვები, ვაჟი თუ ქალი, სკოლაში ატარონ, [illegible] ვაში ისინი ისჯებიან კანონის ძალით. ზოგა[illegible] ლოეთ საფრანგეთში, სადაც გძელი და სუს[illegible] დიდი თოვლი ძევს ხოლმე გზებზე, ცივი [illegible] ჭეფარავს მზესა, იმ მშობლებს, რომელნიც [illegible] ლიდან, ძალიერ უჭირდებათ თავიანთ მოვა[illegible] ამიტომ მთავრობამ მოაწყო სახელმწიფო [illegible] ოფველ დილას დაივლიან ხოლმე სკოლას [illegible] ლებს, იქაური ბავშვები მიჰყავთ სკოლაში [illegible] ისევ თავ-თავიანთ სახლებში აბრუნებენ.

[illegible]ვარიზში.

[illegible]ცულმა ფოსტა-ტელე-[illegible]ქალთან მოლაპარაკება [illegible]ტა-ტელეგრაფის დაწე-[illegible]ჭუაში სდგას).

[illegible]ი გაუფრთხილებელი [illegible]არნაოზი არა ვყოფილ-[illegible]ენ ხარ მიზეზი ჩემის [illegible]ვ დაახლოვებოდა მე-[illegible]ფეს და ძაოჯვედ ხასოლოლით ბოლო მოელო მისთვის. ეს შეიძ-ლებოდა აქედან, მაგრამ დამალვა ვეღარ მოხერხდებოდა, ფარ-ნაოზს კი ჯერ არ გაეწირნა თავისი თავი. ფარნა არ ეკუთ-ნოდა თავის თავს.

*) იხ. დამატება № 11.

„ჩემ ხელთა ხარ, ხოსრო მირზავ, მაგრამ ბედი შენი, რომ ჩემი სიცოცხლე ჯერ მე არ მეკუთვნის: იგი ტასიკოსია, მის ძებნას და დახსნას უნდა შევალიო ის. მაგრამ ვაი შენ, თუ საბოლოოდ გამიცრუვდა იმედი!“

ჯავრის ამოყრა უკანასკნელი მოქმედებაა სასოწარკვეთილ ადამიანისა, ფარნაოზს კი ჯერ ისევ შეეძლო განეგრძო ბრძოლა, მიეგნო რამე საშუალებისათვის და გულდასმით ათვალიერებდა ციხე-სასახლეს, გამოცდილის თვალით ზომავდა ყველაფერს.

ფარნაოზის ყურადღება მიიქცია სასახლის ქვედა სართულის ფანჯრებმა, რომლებიც ზედ მდინარის პირს იყვნენ ამოყვანილნი და რკინებით გადაჭედილნი. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ის საზარელი ჯურღმულები, რომლებშიაც საიდუმლოდ ალპობდა როსტომი თავის საშიშ მტრებს და მოძულეებს:

„რა ვიწრო ფანჯრებია დაგადაჭედილი! რა ახლოა მტკვარი! სწორედ აქ სადმე უნდა იყოს ჩამწყვდეული საცოდავი ყაფლანი. ვგონებ, შეიძლება ხმა მივაწვდინო“. — მოისაზრა ფარნაოზმა.

36.

სასახლის წინ მტკვარი მარჯვნივ დაქანებულიყო, ბურჯებისკენ. მეორე მხარეს გაშლილი მიდიოდა, ფართოდ. ბურჯებისაკენ რომ სჩქეფდა მდინარე და ღრმა იყო, აქათ მდორედ მოდიოდა და წყნარად. საზოგადოდ კი ეხლა დაშვებული იყო მდინარე და დაწყნარებული.

საღამოხანზე ამ ადგილას გამოჩნდა მეთევზეების ნავი. ერთი ბადეს ესროდა აუჩქარებლივ, მეორე იჯდა ნავის თავს, ნავს ამუშავებდა და თან მღეროდა მაღალის ხმით. მეთევზე დააელოვნებული ყოფილიყო სიმღერაში და საუცხოოდ ხთამაშებდა ზარივით ხმას. სასახლიდანაც მიაქციეს მას ყურადღება. თითონ მეთევზე კი არავის არ აქცევდა ყურადღებას, მუშაობდა და მღეროდა. ბედი სწყალობდათ, ბადეს თევზი მოსდევდა, კაპუეტი ნავის ძირზე ელვარებდა. მეთევზის სიმღერამ ყაფლანის საკანშიაც შეიკრიალა და გამოარკვია ტანჯვისაგან მიზურდოვებული პატიმარი.

ქვეყანა შესძულებოდა ყაფლანს, კაცის სახე დასანახავად ეჯავრებოდა, ადამიანის ხმა უსიამოვნოდ აღელვებდა, მტკვრის განუწყვეტელი შხრიალი აწამებდა, ტვინს ურყევდა, აცოფებდა კაცს. ამ სიმღერამ კი მისი ყურადღება სიამოვნებით მიიპყრო და რაღაც ნაცნობი ჰანგები მოაგონა, ნაცნობი ხმა ჩააწვეთა ყურში. ყაფლანი გულმოდგინედ უგდებდა ყურს მომღერალს და თანდათან სახე უბრწყინდებოდა, თვალებში მიმქრალი ცეცხლი უღვივდებოდა.

„ღმერთო ჩემო!—წარმოსთქვა პატიმარმა,—სულ ფარნაოზის ხმას მაგონებს ეს ხმა და მის სიმღერის კილოს... სადა ხარ, შვილო ფარნაოზ, ცოცხალი ხარ სადმე ჩემსავით უნუგეშო, თუ მკვდარი? იქნება შენც ჩემსავით საპყრობილეში ლპები...“

ფარნაოზის მოგონებამ გული მოულბო პატიმარს და გაფიცხებულ-გამხმარ თვალებზე ნამი მოჰგვარა, მეთევზე ისევ მღეროდა გატაცებით. წამოდგა ყაფლანი, მივიდა ფანჯარასთან, მოსჭიდა რკინას ხელი და მოახერხა გახედვა.

„მეთევზეები ყოფილან, ბადეს ესვრიან. ბედნიერები! თავისუფალნი თავისუფალ ჰაერში, თავისუფალ წყალზე.... რა ძლიერ მაგონებს მისი სიმღერა ფარნაოზის სიმღერის ხმას!“

მეთევზეს შეუნიშნავი არ დარჩა პატიმარის გახედვა, მაგრამ ის მალე ჩამოშორდა სარკმელს და ფარნამ ვერა გაარჩია რა. ძნელიც იყო რისამე გარჩევა, რადგან კედელი სქელი იყო, ფანჯარა ვიწრო და დაჭედილი. მაინც მოუთმენელი ცნობის მოყვარეობა აღეძრა ფარნაოზს.

მეორე საღამოს ისევ გამოჩნდა ნავი. მეთევზე ისევ მღეროდა ყაფლანისათვის დიაღ ნაცნობის ხმით და ნაცნობს ჰანგებს. ნავი უფრო დაუახლოვდა ბურჯებს. ყაფლანი სიმღერის პირველ გაგონებაზევე ასწვდა ფანჯარას და დააკვირდა მენავეს. ძალიან ჰგავდა ფარნაოზს. მენავემ შენიშნა ფანჯარაში აჩრდილი, მთლად მიბრუნდა იქითკენ და გასწორდა. ყაფლანმა იცნო ფარნაოზი, და გული შეუფერდა სიხარულის ელდით. ნავი შევიდა ჩქარში და დაეშვა ქვევით.

კარლ მილლერი თავის ცოლითა და შვილებით.

კარლ მილლერი ავსტრიის ჯაშუშების უფროსად იყო სერბიაში. იგი სერბიის მთავრობამ 15 თებერვალს დააპატიმრა. მასთან ერთად დააპატიმრა რამდენიმე წარჩინებული სერბიც.

„ფარნაოზი, ფარნაოზი! ყოჩაღ, ბიჭო! მარჯვედ მოუხერხებია. ვინ უგრძნობს! აქ ხომ ხშირად თევზაობენ ნავებით. მაგრამ რა ჰსურს, რა განუზრახავს? ჩემი გაპარება ხომ არ შეიძლება აქადან, არას გზით არ შეიძლება: ხომ ვერ გაარღვევს სალ-კლდეს, რა ერთგულებაა და გამბედაობა! რომ უგრძნონ, ჩანთქამენ. კარგი ყოფილხარ, ჩემო ფარნა, თავდადებული. ტასიკოს გულს უფრო ადრე უცვნიხარ, მე ვერ გაფასებდი ღირსეულად.

ყაფლანი მიჰხვდა, რომ მოხერხებული ჟამი იყო ვაეგებინა როგორმე ფარნაოზისთვის ის საიდუმლო, რომელიც შეიტყო მან ევდემოზისაგან ტასიკოს შესახებ. სწორედ ფარნაოზს შეჰფეროდა მიეღო მისგან ეს საიდუმლო: იგი მიჰყვებოდა ქალის კვალს და დაისხნიდა განსაცდელისაგან. მაშინ მიჰხვდებოდა ვაჟი თავის გულის წადილს. ღირსიც იქნება ვაჟკაცი ღირსეულის სასყიდლისა. ხვალ ისევ გამოჩნდება ფარნაოზი მის საპყრობილის წინ, მაგრამ როგორ რა გააგებინოს, როგორ მიაწვდინოს ხმა? ახლო იქნება ფარნაოზი, როგორც დღესაც იყო ახლო, სულ რამდენსამე ნაბიჯზე იქნება მისგან, მაგრამ მაინც მიუწდომელი იქნება მისგან: გაანუვალი ზღუდეა მათ შორის ამართული.

ყაფლანმა დაკვირვებით მოავლო თვალი თავის საპყრობილეს, მაგრამ საკანში ნესტისაგან გაჟღენთილი კედლების მეტი არა იყორა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდა კაცი, უიმედობას მიეცა. მიეგდო თივაზე, რომელიც ფიცრებზე დაეყარნათ. ფიცარი რომ დარახუნდა, აზრმა გაურბინა ყაფლანს გაღიმა პყრობილი. გასინჯა ფიცრები, ერთს მოსტეხა ნაპირი რამ და დააჭდია ზედ; „ერწო, გვირაბიანი, დიასამიძისას. დაიხსენ!“

გამოჩნდა მესამედ იგივე ნავი. ეხლა ყაფლანი სიმღერის ხმას აღარ ელოდდა. დილიდანვე ფანჯარას არ მოჰშორებია. მეთევზემ ორჯელ-სამჯერ კი ესროლა ბადე და შეადგა ნავი ზვირთებში; ცდილობდა დაახლოვებოდა ბურჯებს. მას განზრახვა ჰქონდა შეეძახნა სარკმლიდან, რომ ეცნობებინა პატიმრისათვის თავისი თავი. ამდროს ფანჯრიდან გადმოვარდა ფიცრის ნატეხი. ზვირთებმა შეათამაშეს ფირფიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დააქანეს. ნავი დაედევნა ნაფოტს. მორევში მისწვდა. ფარნაოზმა გადაათვალიერა განძი და ამოიკითხა დაჭედული სიტყვები.

ფარნაოზი მაშინვე დაადგა გზას. საშური სავალი ჰქონდა და ძნელი; რაც შეიძლებოდა მალე უნდა მიჰშველებოდა ტყვექმნილს, რომ მთლად არ ჩამჭკნარიყო ის სხვის ხელში, არ ჩაშავებულიყო გატანჯული. თანაც დიდი სიფრთხილე ჰმართებდა და გამჭრიახობა, რომ კვალი არ აჰბნეოდა და მიეგნო დაჩაგრულისთვის. ქალი კი სწორედ დაჩაგრული იყო და გაჭირებული. ელოდა ენახა, განსაცდელი გამოევლო და სასოება წარჰხოცოდა, უიმედობას მისცემოდა.

ავაზაკი რომ შეეტყუა ტასიკოს და ყელში სწვდა, ცეცხლები დაუტრიალდა მას თვალებში, იქვე დაეხშო მთავარი სუნთქვა. გრძნობდა, როგორ ჩამოაცვეს თავზე რაღაცა, შეხვიეს, გამოიტანეს და შემოიგდეს ცხენზე. რამე შებრძოლებაზე ან ახმაურებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. ქალს სული უგუბდებოდა, იმას ღა ცდილობდა, როგორმე შეეწოვნა ჰაერი და არ მოშთობილიყო. მემრე გონება დაუბნელდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა მთლად, როდესაც გადმოიღეს ცხენიდან, გაანთავისუფლეს სახვევლისაგან და წყალი მიუპყრეს.

ტასიკომ მოავლო თვალი იქაურობას. ხევი რამ თავდებოდა? გაგანიერებულიყო, გაშლილიყო. ნაკადული იფანტებოდა, ჭანჭრობს ეფინებოდა. ჭაობს იქით ქვიშას თეთრად მოჰფენოდა მარილი. ტბის ყურე იყო. ტბა ოდნავ ღელავდა და ჰრეცხდა მარილოვან შლამს. საშინელი ჩალა და ლერწამი ატეხილიყო. ძალიან ცხელოდა. აუარებელი კოღო ირეოდა.

„ამისთანა მივარდნილ ადგილას მშველელი ვერსაიდან გამომიჩნდება, დახსნაზე ფიქრი ამაოა“, — მოისაზრა ქალმა.

ააყოლ-ჩააყოლა თვალი მტაცებლებს. დედაკაცურად ჩაცმულს ტანთ გამოეცვალნა. ახალგაზრდა იყო, წვერ-ულვაშ ახლად აშლილი, თეთრ-წითელი, მხარბეჭიანი.

„წელან კი როგორი შავი იყო, ალბათ ესო რამე პირზე; ჩამოუბანია, — გაიფიქრა ქალმა.

მეორე ხნიერი კაცი იყო, დაღვრემილ-დაღრეჯილი.

— იცი, გიორგი, ამ ტბის პირებში საშინელი გველი თურმე იცის; საქონელსაც აზარალებს, — გამოეხმაურა ახალგაზრდა.

— ცხელი ადგილია, წყლიანი და მივარდნილი. რა დაუშლის წყეულის გამრავლებას!

ამის გაგონებაზე ქალმა უნებლიეთ კალთა აიკრიფა და აქეთ-იქით მიიხედა. ქალს ჯერ ხმას არა სცემდენ. ღელავდა პატიმარი, ეგონა მტარვალების მსხვერპლი შეიქმნებოდა. არავითარი საშუალება არა ჰქონდა თავის დაცვისა, თუნდა თავის მოკვლით. ეს იყო მიზეზი, რომ ქალს გაუხარდა, როცა ახალგაზდა მივიდა მასთან და სთხოვა დაწყნარებულიყო, რადგან არავითარი განსაცდელი არ შეემთხვევოდა მას, თუ ჩუმად იქნებოდა და დაჰმორჩილდებოდა თავის ბედს.

— მაგრამ თუ წინააღმდეგობა გაგვიწიე სადმე, ან საშველად უხმე ვისმე, ან აცნობე ვისმე შენი ვინაობა, იძულებული ვიქნები მოგკლა, დაასრულა ახალგაზრდამ მტკიცედ და მუქარის გასაძლიერებლად ნახევრად ამოაჩინა ქარქაშიდან პრიალა ხანჯალი.

ქალმა უნებლიეთ მორჩილებით მოუსმინა ყოველივე.

„ახ, ეხლა აქ უნდა გაჩნდეს ფარნაოზი, რომ შეგანანოს თავხედობა. მაგრამ რა? მარტო ქალი ვარ და უნდა შეგრჩეს კადნიერი ლაპარაკი“ — გაიფიქრა ტასიკომ.

სულ რამდენიმე წუთი არ შემდგარან ტბის ყურს. მსწრაფლ შეუდგნენ გზას. ქალი ახალგაზრდას უჯდა უკან. გაქანებული მივიდნენ მტკვრის პირს. აქ ერთ წამს შეყოყმანდნენ მგზავრები, შეფიქრიანდნენ. მერე ჭაბუკმა მაგრა ჩაიკრა სარტყელში ქალის მაჯები და შეაგდო ცხენი მდინარეში. მეორემ ერთი კი დაუძახა ამხანაგს, ფრთხილად სარიდრნო, და თითონაც გადააგდო ცხენი. ქალი აიტივტივა წყალმა, ცხენის გავიდან აგლეჯა დაუპირა. ტასიკოს შიშით სული შეუგუბდა. ცოცხალ-მკვდარი გაიტანეს ნაპირზე. დასველებული და გულგახეთქილი ქალი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. აქაც **არ** შეფერხდნენ. მხოლოდ ნაბადში გახვიეს ქალი და გაჰკრეს. ქალაქში არ შესულან, ისნის ბოლოზე გადაიარეს. ქალმა გორაკებიდანღა მოჰკრა თვალი ქალაქის ზედიზედ მიყრილ სახლებს. მხოლოდ მაშინ შედგნენ, როცა ტყეს შეაფარეს თავი.

ღამე ტყეში გაატარეს. დიდი ცეცხლი ენთო. ცხენებს ფეხები ჩაუკრეს. ქალს ნაბადი გაუშალეს ცეცხლაპირას. პური მოიმტვრიეს. ყარაულობდნენ რიგ-რიგად იარაღით ხელში. დაღვრემილს ორი სიტყვაც არ დაუძრამს. იყო ჟამი, როცა ორივე ვაჟკაცს მიეძინა. გაპარვაზე მაინც არ შეიძლებოდა ფიქრი: გარშემო ისეთი ბნელი მოსჯროდა ცეცხლს, რომ ქალს გული უსკდებოდა. დროთიდრო ხმაურობა რამ გამოისმოდა ტყიდან: ღმუილი, შრიალი, სისინი, ლეწამტვრევა. ხანდისხან ახლოვდებოდა ხმაურობა და შეშინებული ქალი ცეცხლისკენ იწევდა, უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას. დაღვრემილმა მალე გამოიღვიძა და წამოხტა. შეხედა ქალს, ნახა ცხენები, გარს შემოუარა ბინას. მეორეს ისევ ეძინა უდარდელად. სახე დასწყნარებოდა, ბალღური იერი დასდებოდა: აღარაფერ საშიშს არ წარმოადგენდა ჭაბუკი.

„როგორ მარდათ გადმოფრინდა ღობეზე! გამბედავი ვაჟი უნდა იყოს და მარჯვე. ხელი ხანჯალზე უდევს. სრულიად არ შეეშინდა წყალში. როგორ მაგრა მომხვია მარჯვენა! თუ არა, სწორედ მომიტაცებდა წყალი, მომიტივტივა. უჰ, როგორ მოჰქანობდა, რა ცივი იყო, ღრმა, საშინელი!“ — ფიქრობდა ქალი ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

„ვინ იცის, მამა საით დამეძებს გამწარებული. მთელ თავის საყმოს შეჰყრიდა. ახ, თუ ფარნაოზი მყოლოდა შინ, მაშინ ვერ გამიბედავდნენ ავს, ვერ შემკადრებდნენ, მაშინ ესე წყნარად ვერ მოისვენებდნენ ჩემი მტარვალნი: მისი გული იგრძნობდა განსაცდელს, თვალს არ მომაშორებდა, ქვესკნელსაც რომ ვყოფილიყავ, იქაც მიპოვნიდა. ერთის შეტევით დაიმონებდა ამათ ფარნაოზ!“ — ამოუკვნესა გულმა უნებლიეთ.

ღამის წყვდიადით შეძრწუნებული ქალი თვალებს აფეთებდა, უნებლიეთ კაცებისკენ იწევდა. ეგონა, ნადირი დამეცემა ტყიდან, ქვეშძრომი შემომეხვევა ბალახიდან, რამე მტაცებელი ჩამოფრინდება ხის ტოტებიდან, მავნე რამ სული დამეტანება ბნელიდანაო. ძალიან გაგრძელდა ღამე! ცეცხლი გუზგუზებდა ძლიერი. ქალმა რამდენჯერმე უბრუნა გვერდი. გათბა, გაშრა, გახურდა ძალიან კი იყო დამტვრეული, ჩასძინებოდა.

მეორე დღეს ტყეტყე იარეს უგზოუკვლოდ. აყრილი ტყე იყო წიფლიანი ცამდის აწვდილმა ხეებმა თვალი წარსტაცეს ქალს. მშვენიერმა ჰაერმა და სუნნელებამ მოახედა ქალი, გულს უფონა. აღმა აღმა მიდიოდნენ. მთის წვერზე ვაკე რამ გამოჩნდა ბალახოვანი. მცირედ შეისვენეს. წყარო გადმოსჩქეფდა, ქვეით მიისწრაფოდა ღელესაკენ. გალაღებული შამბში ჩასდევდა ნაკადულს. დაეშვნენ თავქვე, დაჰყვნენ ხევის პირს. ჯერ ისევ ნათელოდა, როცა დათხელდა დაბურული ტყე და თხილნარად შეიცვალა. მიაღწიეს ტყის პირს.

— აი, ქალო, ი ხევის პირს რომ სოფელი მოსჩანს, ის იქნება შენი ბინა. ეჰ, ღროებითი ბინა, რასაკვირველია! იქ არის ჩემი სახლი, დედა ჩემი შვილივით მიგიღებს. ერთი შენხელა დაცა მყავს, დაგიმეგობრდება, — უთხრა ახალგაზდამ ტასიკოს.

ქალმა მზრუნველობა რამ იგრძნო ჭაბუკის ხმაში, სითბო რამ კეთილისა და ვერ გაეგო, რამა ჰყო იძულებული ეს ვაჟკაცი ისე მტრულად და მკაცრად მოჰქცეოდა მისთვის სულ უცნობ ქალს, ესე უწყალოდ რად მოსწყვიტა ის მშობლის სახლს.

კარგა რომ შეღამდა, მხოლოდ მაშინ წაიყვანეს ქალი სახლში.

(დასასრული იქნება.)

ვ. ბარნოვი.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.